საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/413
21/02/2023

413-01-2-202302211556

ი/მ ნათია ტყებუჩავას (პ/ნ 48001025599)

მის: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ.ლესიჭინე მე-8 ქ. №15
ელ-ფოსტა: natia.tyebuchava.99@bk.ru
მობ: 571016324

ქალბატონო ნათია,

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 10 თებერვალს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) №01/496 განცხადებით (დაზუსტებული განცხადებები 2023 წლის 13 თებერვალი №01/525, 2023 წლის 14 თებერვლის №01/541) მომართა [redacted] განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2023 წლის 12 იანვარს ფეისბუქ პროფაილზე დასახელებით „დილსი.dilsi" შეიძინა ნივთები. განმცხადებლის განმარტებით, შეკვეთისთანავე მოვაჭრემ მოითხოვა ნივთის სრული ღირებულების ჩარიცხვა, რომლის ოდენობამ შეადგინა 165 ლარი. ნივთის საფასურის გადარიცხვა განხორციელდა ი/მ ნათია ტყებუჩავას ანგარიშზე [redacted] განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ნივთი არ ჩაბარებია და არც თანხა დაბრუნებია.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოს. ამ კანონის 29-ე–36- ე მუხლები არ

ვრცელდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოზე. შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანამხად განმცხადებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც სააგენტოს ან კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს მიმართავს მომხმარებლის უფლების დარღვევის ან/და სავარაუდო დარღვევის შესახებ, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა ზიანი უშუალოდ მის ინტერესს.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;

- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;

- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;

- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანართის სახით გიგზავნით მოქალაქე [redacted] განცხადებებს და გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის

შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ელი და მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მასში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან, ამავე ვადაში, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ ი/მ ნათია ტყებუჩავას სავაჭრო პოლიტიკის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის;
- გარანტიის;
- დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის უპირობო დაბრუნების;
- კომპანიის მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობების;
- საქონლის მიწოდების ვადების და
- ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/შეკეთება/დაბრუნების თაობაზე.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი